



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი



დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; E-mail: chokhatauri.board@yahoo.com; contact@chokhatauri.ge;

### მუნიციპალიტეტის მერის

N 505  
15/04/2019

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

505-05-4-201904151218



#### დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებით დამტკიცებული „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესების“ შესაბამისად, დაბა ჩოხატაურის იერსახის დაცვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილები, დანართის შესაბამისად.
2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებზე ნებადართულია შემდეგი საქონლით ვაჭრობა:
  - ა) ჟურნალ-გაზეთები, წიგნები;
  - ბ) ნახატები, სუვენირები და სხვა ხელნაკეთი ნივთები;
  - გ) ყვავილები;
  - დ) ხილ-ბოსტნეული მაღაზიის წინ, ვერტიკალურ სტელაჟზე (თუ ხილ-ბოსტნეული არის მაღაზიის საკუთარი პროდუქცია და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა აკმაყოფილებს სანიტარიულ ნორმებს და უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებას მიღების, შენახვისა და რეალიზაციის პროცესში);
  - ე) სპეცდანიშნულების საფირმო მანქანებიდან კვების პროდუქტები (სანიტარიული პირობებით და სასაქონლო-ესთეტიკური იერსახით დაცული).
3. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებზე სეზონური გარე ვაჭრობა ნებადართულია შემდეგი საქონლით:
  - ა) გაზიანი გამაგრებელი სასმელები და წყლები (მათ შორის, ბურახი);
  - ბ) ნაყინი (სპეციალური მაცივრის მეშვეობით);
  - გ) შეშა (სპეციალურად მოწყობილ ადგილებში);
  - დ) ყველა სახეობის ხილი და ბოსტნეული.

4. დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისთვის განსაზღვრულ ადგილებზე აიკრძალოს მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები, თევზი, შეუფუთავი საკონდიტრო ნაწარმი და პური) გარე ვაჭრობა.
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N21 დადგენილებით დამტკიცებული „დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესებით“ და ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისთვის, რომლებიც ახორციელებენ დაბა ჩოხატაურის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობას.
6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.
7. ამ ბრძანების სათანადო წესით დამოწმებული ერთი ეგზემპლარი გაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოს.
8. დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების მუნიციპალიტეტის ორგანოების შენობებში სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას განთავსება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და მუნიციპალიტეტის ელექტრონულ რესურსებზე გამოქვეყნება, ასევე, გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა



დაბა ჩოხატაურში გარე ვაჭრობისთვის გამოყოფილი ადგილები

1. დაბა ჩოხატაური, გურიის ქუჩა, გარე ვაჭრობისთვის გამოყოფილი ნაგებობა (სავაჭრო პავილიონი).
2. დაბა ჩოხატაური, მარის ქუჩა, სსიპ ნიკო მარის სახელობის დაბა ჩოხატაურის N1 საჯარო სკოლის ეზოს მიმდებარედ.
3. დაბა ჩოხატაური, დუმბაძის ქუჩა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.01.22.509), ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ.
4. დაბა ჩოხატაური, ლომთათიძის ქუჩა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.01.23.019).